სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სპეციალობის გამოცდის ნიმუში

1. **რომელია ცალმხრივი მიღება სავალდებულო ნების გამოვლენა?**
   (ა) როდესაც არის ერთზე მეტი ნების გამომვლენი;
   (ბ) როდესაც ნების ნამდვილობა დამოკიდებულია მისი მიმღების ქმედუნარიანობაზე;
   (გ) როდესაც მისი ნამდვილობა დამოკიდებულია ადრესატთან მისვლაზე;
   (დ) როდესაც მისი ნამდვილობა დამოკიდებული ადრესატის მიერ მის მოწონებაზე.

2. **ჩანასახის პირობითი უფლებაუნარიანობაა, როდესაც მისი წარმოშობა?**
   (ა) დამოკიდებულია დაბადების ფაქტზე;
   (ბ) დამოკიდებულია მშობლის თანხმობაზე;
   (გ) დამოკიდებულია დაბადების ადგილზე;
   (დ) დამოკიდებულია სრულწლოვანების მიღწევაზე.

3. **ჩამოთვლილთაგან ადამიანის პიროვნულ (არაქონებრივ) უფლებას არ განეკუთვნება:**
   (ა) სახელის უფლება;
   (ბ) გამოსახულების უფლება;
   (გ) პატივის ხელშეუხებლობის უფლება;
   (დ) საარჩევნო უფლება.

4. **ჩამოთვლილთაგან რომელი ფრაზაა სწორი?**
   (ა) თავისუფლება ავალდებულებს;
   (ბ) თავისუფლება შეუზღუდავია;
   (გ) თავისუფლება მხოლოდ ხელშეკრულებით დგინდება;
   (დ) თავისუფლება კანონის გვერდის ავლაში გამოიხატება.

5. **ჩამოთვლილთაგან რომელია ცალმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულება?**
   (ა) ნასყიდობა;
   (ბ) ჩუქება;

(გ) გაცვლა;
(დ) არცერთი ჩამოთვლილთაგან.

6. **ჩამოთვლილთაგან რომელი არ განეკუთვნება კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობას?**
(ა) დელიქტი;
(ბ) დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულება;
(გ) უსაფუძვლო გამდიდრება;
(დ) სერვიტუტი.

7. **ქვემდებარეობის პრინციპი მოქმედებს**
(ა) სახელშეკრულებო სამართალში;
(ბ) საოჯახო სამართალში;
(გ) დელიქტური სამართალში;
(დ) შრომის სამართალში.

8. **ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის სასყიდლიანი ხელშეკრულება?**
(ა) იჯარა;
(ბ) სესხი;
(გ) გაცვლა;
(დ) თხოვება.

9. **საერთაშორისო კერძო სამართალი აწესრიგებს**
(ა) სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს;
(ბ) სხვადასხვა სახელმწიფოს კომპანიებს შორის ურთიერთობებს;
(გ) ნორმათა კოლიზიისას გამოსაყენებელი სამართლის შერჩევას;
(დ) საჰაერო ხომალდების გადაადგილებას.

10. **სახელმწიფო არის**
(ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
(ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის წარმომადგენელი;
(გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებამონაცვლე;
(დ) არცერთი ზემოთაღნიშნული.

11. **საგადასახადო სამართალი არის**
(ა) ადმინისტრაციული სამართლის ნაწილი;

(ბ) სისხლის სამართლის ნაწილი;
(გ) კერძო სამართლის ნაწილი;
(დ) არცერთი ზემოთ აღნიშნული.

12. **სსკ-ის 994-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი დელიქტუუნაროა და მისი მოქმედებიდან გამომდინარე ზიანისათვის არ აგებს პასუხს. 10-დან 18 წლამდე ასაკის პირი კი:**
(ა) სრულად აგებს პასუხს მიყენებული ზიანისთვის;
(ბ) არ აგებს პასუხს მიყენებული ზიანისთვის არც ერთ შემთხვევაში;
(გ) სრულად აგებს პასუხს მიყენებული ზიანისათვის, გარდა იმ შემთხვევევისა, თუ მას ზიანის მიყენებისას არ შეეძლო თავის მოქმედების მნიშვნელობა გაეგო;
(დ) თავად არ აგებს პასუხს მიყენებული ზიანისათვის და მის მაგივრად პასუხს აგებს მისი კანონიერი წარმომადგენელი არ მეთვალყურეობაზე ვალდებული პირი.

13. **დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნის წინაპირობებია:**
(ა) ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა) და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის;
(ბ) ქმედების მართლწინააღმდეგობა და ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა);
(გ) მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის;
(დ) ქმედების მართლწინააღმდეგობა, ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა), ზიანი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

14. **ანი ქართული სუფრის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესწავლას პრაქტიკულად ახორციელებს. მის გვერდით მჯდომ ბენოს რამდენიმე საათის განმავლობაში არ გამოუტოვებია არცერთი განსხვავებული სასმისი და დამსახურებულ ძილს ახლა საცივში თავის ჩარგვის გზით მისცემია. ანის ყურადღება ბენოს ძილის პოზასა და მძიმე სუნთქვაზე მეტად მისმა ძვირფასმა საათმა მიიქცია. ანი საათის შეძენას ბენოს 50 ლარად სთავაზობს, ხოლო შემდგომ ნაზად კიდებს მის თავს ხელს და თანხმობის ნიშნად რამდენჯერმე აქნევინებს. ანი თვლის, რომ მან წარმატებული ხელშეკრულება დადო. დაიდო თუ არა ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება?**

(ა) ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილია, ვინაიდან გვაქვს ორი ნამდვილი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა;

(ბ) ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილია, თუმცა საცილოა ნების გამოვლენის ნაკლის გამო;

(გ) ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულა ბენოს ნების გამოვლენის, კერძოდ მოქმედების ნების არარსებობის გამო;

(დ) ნასყიდობის ხელშეკრულება არდადებულა წერილობითი ფორმის დაუცველობის გამო.

15. **„ნების გამოვლენა“ არის**

(ა) პირის კეთილგანწყობის გამოხატულება;

(ბ) სამართლებრივი ურთიერთობის დამყარების სუბიექტური ნება;

(გ) სამართლებრივი შედეგის დადგომაზე მიმართული ნების ობიექტურად შეცნობადი გაცხადება;

(დ) სუბიექტური სურვილის გამოხატვა სხვა პირის მიმართ.

16. **მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია:**

(ა) ნებისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმება;

(ბ) გარიგების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში;

(გ) ხელშეკრულების წერილობით დადება;

(დ) ნამდვილი უფლების საფუძველზე ნივთის შემძენის მფლობელობაში გადაცემა.

17. **საკუთრების უფლება არის**

(ა) შეზღუდული სანივთო უფლება;

(ბ) შეუზღუდავი ვალდებულებით-სამართლებრივი უფლება;

(გ) აბსოლუტური სანივთო უფლება;

(დ) მფლობელობის სახე.

18. **შრომითი ურთიერთობა არის:**

(ა) უსასყიდლო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სახე;

(ბ) ცალმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულება;

(გ) მხარეთა თანასწორუფლებიანობასა და ქვემდებარეობის პრინციპზე დაფუძნებული გამათანაბრებელი სახელშეკრულებო ურთიერთობა;

(დ) კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა.

19. **საქართველოს საკორპორაციო სამართალი ცნობს:**

(ა) იურიდიული პირის ღირსებას;

(ბ) იურიდიული პირების განსხვავებულ უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობას;

(გ) ინდივიდუალური მეწარმის სტატუსს;

(დ) იურიდიული პირის გაფიცვის, ლოკაუტისა და მემკვიდრეობის უფლებებს.

20. **ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის მოთხოვნის უზრუნველყოფის ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალება?**

(ა) ბე;

(ბ) იპოთეკა;

(გ) საბანკო გარანტია;

(დ) მოვალის გარანტია.

21. **ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის საცილო გარიგება?**

(ა) მოტყუებით დადებული გარიგება;

(ბ) შეცდომით დადებული გარიგება;

(გ) თვალთმაქცური გარიგება;

(გ) იძულებით დადებული გარიგება;

22. **ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა არასწორი?**

(ა) პირგასამტეხლოს აქვს აქცესორული ბუნება;

(ბ) სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს პირგასამტეხლო ნებისმიერ შემთხვევაში;

(გ) მოვალის გარანტია აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა გაფორმდეს;

(დ) ბეს მიმცემი უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

23. **ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა სწორი?**

(ა) გამოსაცდელ ვადაში შესრულებული სამუშაო არ ანაზღაურდება;

(ბ) ანაზღაურებისგარეშე შვებულება არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს;

(გ) დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით - წელიწადში სულ მცირე 24 კალენდარული დღის ოდენობით;

(დ) შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველია ანაზღაურებისგარეშე შვებულება.

24. **ჩამოთვლითაგან რომელი არ არის მოწვევა ოფერტზე?**

(ა) ერთ-ერთი სავაჭრო კომპანიის Facebook პოსტი სახელწოდებით „სპეციალური შეთავაზება! ლეპტოპტები 300 ლარიდან“;

(ბ) ერთ-ერთი კომპანიის მიერ გამოქვეყნებული ვაკანსია კონკრეტული პირობებით;

(გ) ერთ-ერთი კომპანიის მიერ გაგზავნილი მეილი, რომელსაც შემდეგი შინაარსი აქვს „შეიძინეთ ტელევიზორი სპეციალურ ფასად - 300 ლარად; მხოლოდ პირველი 50 მომხმარებელი შეძლებს ტელევიზორის აღნიშნულ ფასად შეძენას. დააჭირე აქ და შეიძინე ახლავე“;

(დ) ფლაერი, რომელშეც დატანილია შემდეგი ტექსტი „ფასდაკლება შეზღუდული დროით! ყველა პროდუქტი 40% -იანი ფასდაკლებით“.

25. **ზურამ გადაწყვიტა თავისი 25-ე დაბადების დღე აღენიშნა ღია ცის ქვეშ. ლოკაციად საბადურის ტყე შეარჩია. იმისთვის რომ სადღესასწაულო გარემო შეექმნა, მან კომპანიას „ზურმუხტი“ დაუკვეთა 200 ერთეული დიდი ზომის ჰელიუმის ბუშტი. კომპანიამ „ზურმუხტი“ დაბადების დღის ლოკაციაზე ზურას მიუტანა 196 ერთეული ჰელიუმის ბუშტი. ზურა ძალიან გაღიზიანდა აღნიშნული ფაქტით და გადაწყვიტა საერთოდ არ გადაეხადა ღირებულება, რადგანაც მას დაბადების დღე ჩაუმწარეს. რამდენად საფუძვლიანია ზურას სურვილი უარი თქვას ხელშეკრულებაზე?**

(ა) საფუძვლიანია, რადგანაც კომპანია „ზურმუხტი“-ს მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ზურას დაბადების დღე ჩაშხამდა;

(ბ) არსებული გარემოებები არ არის საკმარისი დასკვნის გამოსატანად;

(გ) არ არის საფუძვლიანი, რადგანაც კომპანია „ზურმუხტი“-ს მიერ ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა;

(დ) არ არის საფუძვლიანი, რადგანაც ვალდებულების დარღვევა არ არის სახეზე.

26. **ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა სწორი?**

(ა) თუ გაქირავებულ ნივთს აღმოაჩნდება ნაკლი, მაშინ დამქირავებელს ქირა შეუმცირდება 40%-ით;

(ბ) მენარდემ პირადად უნდა შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებებიდან ან სამუშაოს ხასიათიდან;

(გ) გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე ნებისმიერ დროს ყოველგვარი საფუძვლის გარეშე;

(დ) ფრენშაიზინგის ხელშეკრულება შეიძლება დადებულ იქნას როგორც ზეპირად, ისე წერილობით.

27. **ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა სწორი?**

(ა) სამეწარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის ფორმებია: გარდაქმნა, შერწყმა და გაყოფა;

(ბ) საადვოკატო საქმიანობა სამეწარმეო საქმიანობაა;

(გ) დაუშვებელია სააქციო საზოგადოება დააფუძნოს ერთმა პირმა;

(დ) სასამსახურო ხელშეკრულება იდება მხოლოდ კომპანიასა და აქციონერს შორის.

28. **ჩამოთვლილთაგან რომელია არასწორი?**

(ა) სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი;

(ბ) საქართველოს არის სამართლებრივი სახელმწიფო;

(გ) საქართველოში არ მოქმედებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი;

(დ) საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - აგრეთვე აფხაზური.

29. **სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს:**

(ა) კერძო ხასიათის საოჯახო და პირად ურთიერთობებს;

(ბ) ურთიერთობებს კერძო პირებს შორის;

(გ) კერძო ხასიათის საოჯახო და მემკვიდრეობით ურთიერთობებს;

(დ) პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს.

30. **ანის სახლის სადარბაზოში თავს ესხმის ბენო, რომელიც მისგან დანის მუქარის გამოყენებით ითხოვს ჩანთას. ამ დროს ბინიდან გამოდის და თავდასხმის ეპიზოდს შეესწრება გიორგი თავის გერმანულ ნაგაზთან ერთად. ძაღლი გიორგის მითითებით "Fass" თავს ესხმის ბენოს და აგდებს ძირს. ბენოს სხეულის მსუბუქი დაზიანება აქვს. აქვს თუ არა ბენოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და თუ აქვს ვისგან?**

(ა) ბენოს აქვს გიორგისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, იმიტომ რომ გიორგი ნაგაზის მფლობელია;

(ბ) ბენოს არ აქვს გიორგისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, იმიტომ რომ გიორგი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში;

(გ) ბენოს არ აქვს გიორგისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რადგან ძაღლი თავად დაესხა თავს ბენოს;
(დ) ბენოს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ანისგან.